საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Sociology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **მიზანია** სტუდენტს შესძინოს:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით;
- ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ;
- ფართო ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში (განათლების, შრომის, ურბანული, ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, გენდერის).

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს,რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, უცხო ენად აქვს ჩაბარებული ინგლისური.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

**1.** აღწერს და განსაზღვრავს სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს, ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ მიგნებებს, მათ შორის, სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებს (მიკრო და მაკრო სოციოლოგია) და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მიდგომებს.

**2.** აყალიბებს სოციოლოგიის კლასიკური, მოდერნული, თანამედროვე და პოსტმოდერნული თეორიებსა და აზროვნების სკოლების ძირითად დებულებებს, იდეებს, არგუმენტებსა და გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

**3.** განარჩევს და აღწერს სხვადასხვა დარგობრივი სოციოლოგიის (განათლების, შრომის, ურბანული, ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, გენდერის) სპეციფიკას, დარგში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას, ძირითად აღმოჩენებსა და არსებულ გამოწვევებს.

**უნარი:**

**4.** აფასებს და აანალიზებს სოციალური მოვლენების გამომწვევ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და გენდერული ფაქტორების ურთიერთკავშირის, თეორიულ ასპექტებს აკავშირებს ემპირიულ კონტექსტთან და აიდენტიფიცირებს პროცესებში ჩართული სოციალური ჯგუფების ძირითად მახასიათებლებს.

**5.** წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად სრულყოფილად გეგმას და შეიმუშავებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინს, წარმართავს კვლევის პროცესს, აგროვებს მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე სოციოლოგიის კვლევის რელევანტური მეთოდების გამოყენებით აყალიბებს სათანადო დასკვნებს.

**6.** ზეპირი და წერითი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს გამოყენებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან გამოხატავს საკუთარ კრიტიკულ მოსაზრებებს სოციოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით, იდეების ანდა არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ გადმოსცემს საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

**7.** იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომს, კვლევის პროცესში იცავს სოციალური კვლევის ეთიკურ ნორმებს.

**8.** დამოუკიდებლად გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

აღნიშნული შედეგებისა და მიზნების მატრიცა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მიზნები

| შედეგები | როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული - თეორიული და პრაქტიკული - ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით | ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ; | ფართო ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში | სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი | ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი | სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები | ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგი 1 | ✓ | ✓ | | | | | |
| შედეგი 2 | ✓ | ✓ | ✓ | | | | |
| შედეგი 3 | | | ✓ | | | | |
| შედეგი 4 | | | | ✓ | ✓ | ✓ | |
| შედეგი 5 | | | | | ✓ | ✓ | |
| შედეგი 6 | | | | ✓ | ✓ | | |
| შედეგი 7 | | | | | | ✓ | ✓ |
| შედეგი 8 | | | | | | | ✓ |

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სოციოლოგიის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი არის 40%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:
A = 4
B = 3, 2

C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:
საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებში, სადაც მოითხოვება სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა იძლევა ფართო და სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას, ისევე როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა სოციოლოგიის სფეროში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:
სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამაზე ყველა მიმართულებით (იმ გამონაკლისის გარდა როდესაც არსებობს კონკრეტულ დარგში დიპლომის ფლობის წინაპირობა), რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სოციოლოგიის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:
რატი შუბლაძე
პროფესორი
გორგასლის #101
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995) 555 46 46 33
e-Mail: r.shubladze@gipa.ge

# სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | სავალდებულო ზოგადი საგნები | 26 | 22 | | | | | | | | |
| 1. | SSakw103 | არ გააჩნია | აკადემიური წერა | 5/125 | | | | | | | | 32 | 93 |
| 2. | SSap500 | არ გააჩნია | ავტორები და პერსონაჟები | 6/150 | | | | | | | | 32 | 118 |
| 3. | SShp501 | არ გააჩნია | ისტორიული პიროვნებები | 6/150 | | | | | | | | 32 | 118 |
| 4. | SSpkal 107 | არ გააჩნია | პრეკალკულუსი | 4/100 | | | | | | | | 32 | 68 |
| 5. | SSlog 003 | არ გააჩნია | კომპიუტერული უნარები | 5/125 | | | | | | | | 32 | 93 |
| 6. | SSfsik111 | არ გააჩნია | ფსიქოლოგიის საფუძვლები | | 6/150 | | | | | | | 32 | 118 |
| 7. | SSfils113 | არ გააჩნია | შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | | 6/150 | | | | | | | 32 | 118 |
| 8. | SSekos112 | SSpkal107 | ეკონომიკის შესავალი | | 6/150 | | | | | | | 32 | 118 |
| 9. | SSsamok109 | არ გააჩნია | სამოქალაქო განათლება | | 4/100 | | | | | | | 32 | 68 |
| | | | ინგლისური ენის საგნები | 5 | 5 | 5 | 5 | | | | | | |
| 1. | SSeng100/ SSeng115 | არ გააჩნია/ SSeng102 | ინგლისური ენა I/ინგლისური ენა IV | 5/125 | | | | | | | | 48 | 77 |
| 2. | SSeng101/ SSeng 116 | SSeng100/ SSeng115 | ინგლისური ენა II/ინგლისური ენა V | | 5/125 | | | | | | | 48 | 77 |
| 3. | SSeng102 | SSeng101 | ინგლისური ენა III | | | 5/125 | | | | | | 48 | 77 |
| 4. | SSeng115 | SSeng102 | ინგლისური ენა IV | | | | 5/125 | | | | | 48 | 77 |
| | | | სპეციალობის სავალდებულო საგნები | | 6 | 18 | 17 | 22 | 22 | 24 | 27 | | |
| 1. | SSsocs114 | არ გააჩნია | შესავალი სოციოლოგიაში | | 6/150 | | | | | | | 32 | 118 |
| 2. | SSclst600 | SSsocs114 | კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | | | 6/150 | | | | | | 42 | 108 |
| 3. | SSgend601 | არ გააჩნია | გენდერის სოციოლოგია | | | 6/150 | | | | | | 32 | 118 |

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | SSqualrm604 | SSsocs114 | თვისებრივი კვლევის მეთოდები | | | 6/150 | | | | | | 32 | 118 |
| 6. | SSqualprac605 | SSqualrm604 | თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | | | | 6/150 | | | | | 32 | 118 |
| 7. | SSmst606 | SSclst600 | მოდერნული სოციოლოგიური თეორიები | | | | 6/150 | | | | | 32 | 118 |
| 8. | SSurbsoc613 | SSmst606 | ურბანული გარემო და სოციოლოგია | | | | 5/125 | | | | | 32 | 93 |
| 9. | SSesoc607 | SSsocpol603 | ეკონომიკის სოციოლოგია | | | | | 5/125 | | | | 32 | 93 |
| 10. | SSmst610 | SSmst606 | თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები | | | | | 6/150 | | | | 32 | 118 |
| 11. | SSquantrm611 | SSqualrm604 | რაოდენობრივი კვლევის მეთოდები | | | | | 6/150 | | | | 42 | 108 |
| 12. | SShsoc608 | SSsocpol603 | ჯანდაცვის სოციოლოგია | | | | | 5/125 | | | | 32 | 93 |
| 13. | SSworsoc614 | SSesoc607 | შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 14. | SSsocpol603 | SSsocs114 | სოციალური პოლიტიკა | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 15. | SSspss527 | SSquantrm611 | რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით | | | | | | 5/125 | | | 32 | 93 |
| 16. | SSsieqp619 | SSesoc607 | სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა | | | | | | 5/125 | | | 32 | 93 |
| 17. | SSedsoc616 | SSsocs114 | განათლების სოციოლოგია | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 18. | SSquantpra612 | SSquantrm611 | რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 19. | SSpsoc621 | SSsocs114 | პოლიტიკური სოციოლოგია | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 20 | SSpostm615 | SSmst610 | პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 21. | SSdarr620 | SSspss527 | მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება | | | | | | | | 6/150 | 32 | 118 |
| 22. | SSbthes622 | SSakw103<br>SSqualprac605<br>SSquantpra612 | სასწავლო პროექტის დიზაინი | | | | | | | | 6/150 | 32 | 118 |
| 23. | Ssprsoc624 | SSakw103<br>SSsocs114<br>SSclst600<br>SSqualrm604<br>SSqualprac605<br>SSmst606<br>SSmst610<br>SSquantrm611<br>SSspss527<br>SSquantpra612<br>SSpostm615 | დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში | | | | | | | | 15/375 | 64 | 311 |
| | | | **თავისუფალი არჩევითი საგნები**<br>*(III-VIII სემესტრებში სტუდენტი ირჩევს ერთ სასწავლო კურსს ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან ან სოციალური მეცნიერებათა სკოლის მიერ შეთავაზებული სხვა არჩევითი სასწავლო კურსები)* | | | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | | |
| 1. | SSbrend723 | არ გააჩნია | ბრენდინგი | | | 6/150 | | | | | | 32 | 118 |
| 2. | SSDzal201 | არ გააჩნია | ძალადობა | | | 6/150 | | | | | | 32 | 118 |
| 3. | SSrito701 | არ გააჩნია | რიტორიკა და კამათის ხელოვნება | | | | 6/150 | | | | | 32 | 118 |
| 4. | SScinemp 724 | არ გააჩნია | კინო და პოლიტიკა | | | | 6/150 | | | | | 32 | 118 |
| 5. | SSaxpol675 | არ გააჩნია | ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში | | | | 6/150 | | | | | 32 | 118 |
| 6. | SSforumt115 | არ გააჩნია | პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი | | | | | 6/150 | | | | 32 | 118 |
| 7. | SSsajec411 | SSekos112 | საჯარო სექტორის ეკონომიკა | | | | | 6/150 | | | | 32 | 118 |
| 8. | Ssmolap 725 | არ გააჩნია | მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნება | | | | | 6/150 | | | | 32 | 118 |
| 9. | SSculs515 | არ გააჩნია | კულტურის სოციოლოგია | | | | | 6/150 | | | | 32 | 118 |
| 10 | SSglob310 | არ გააჩნია | გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 11 | SSnacteo 719 | არ გააჩნია | ნაციონალიზმის თეორიები | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | SSpsiqoashl 712 | არ გააჩნია | ფსიქო-სოციალური აშლილობის პრევენცია | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 13 | SSpom245 | არ გააჩნია | პროპაგანდა, ომი და მედია | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 14 | SSmeritok 720 | არ გააჩნია | მერიტოკრატიული პერსპექტივა და სოციალური ინსტიტუტები | | | | | | 6/150 | | | 32 | 118 |
| 15 | SSadvpsy | არ გააჩნია | რეკლამის ფსიქოლოგია | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 16 | SSaciv704 | არ გააჩნია | აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 17 | SSlitpol320 | არ გააჩნია | ლიტერატურა და პოლიტიკა | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 18 | SSsocrev703 | არ გააჩნია | შესავალი ფემინისტურ თეორიასა და კვლევებში | | | | | | | 6/150 | | 32 | 118 |
| 19 | SSpolmit 714 | არ გააჩნია | პოლიტიკა და მითოლოგია | | | | | | | | 6/150 | 32 | 118 |
| 20 | SSdecol700 | არ გააჩნია | პოსტკოლონიური და დეკოლონიური მიდგომები | | | | | | | | 6/150 | 32 | 118 |
| | | | სემესტრში | 31 | 33 | 29 | 28 | 28 | 28 | 30 | 33 | | |
| | | | წელიწადში | 64 | | 57 | | 56 | | 63 | | | |

**კურიკულუმის რუკა:**

კურიკულუმის რუკაში პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით.

საგნები ჩაშლილია სამ დონედ: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგზე გასვლას შესავლის ანუ გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), M აღნიშნავს სტუდენტის გაყვანას განმტკიცების დონეზე (Master), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. თუ რომელიმე საგნის შესწავლა იწვევს რომელიმე შედეგზე გასვლას, საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი ან რამდენიმე შედეგობრივი ინდიკატორი - I, D, M. ასევე, შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავებას (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცებას (MP) დონეზე.

| სასწავლო კურსის დასახელება: | სწავლის შედეგი № 1 | სწავლის შედეგი № 2 | სწავლის შედეგი № 3 | სწავლის შედეგი № 4 | სწავლის შედეგი № 5 | სწავლის შედეგი № 6 | სწავლის შედეგი № 7 | სწავლის შედეგი №8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემიური წერა | | | | | | IP | I | |
| ავტორები და პერსონაჟები | | | | | | I (კრიტიკული აზროვნების ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| ისტორიული პიროვნებები | | | | | | I (კრიტიკული აზროვნების ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| პრეკალკულუსი | | | | | IP | | | |
| კომპიუტერული უნარები | | | | | I | IP | | |
| ფსიქოლოგიის საფუძვლები | | | | | | I (კრიტიკული აზროვნების ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | I | | | | | | | |
| ეკონომიკის შესავალი | | | I | | | | | |
| ინგლისური ენა I | | | | | | I (კომუნიკაციის უნარი - ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| ინგლისური ენა II | | | | | | I (კომუნიკაციის უნარი - ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| ინგლისური ენა III | | | | | | I (კომუნიკაციის უნარი - ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| ინგლისური ენა IV | | | | | | IP (კომუნიკაციის უნარი - ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| ინგლისური ენა V | | | | | | IP (კომუნიკაციის უნარი - ზოგადი კომპეტენციის ნაწილი) | | |
| შესავალი სოციოლოგიაში | I | I | I | I | | | | I |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | I | I | | | | | | I |
| თვისებრივი კვლევის მეთოდები | I | | | | I | | I | I |
| გენდერის სოციოლოგია | | | D | D | | D | | I |
| თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | | | | | DP | | DP | D |
| მოდერნული სოციოლოგიური თეორიები | I | D | | D | | D | | |
| ურბანული გარემო და სოციოლოგია | | | D | | | D | | D |
| ეკონომიკის სოციოლოგია | | | D | D | | | | D |
| თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები | D | D | | D | | D | | D |
| რაოდენობრივი კვლევის მეთოდები | | | | | D | D | D | D |
| ჯანდაცვის სოციოლოგია | | | D | D | | D | | D |
| შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია | | | D | D | | D | D | |
| სოციალური პოლიტიკა | | | D | D | | D | D | |
| რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით | | | | | DP | D | DP | D |
| სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა | D | | | D | | D | | D |
| განათლების სოციოლოგია | | | D | D | | D | | |
| რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | | | | | DP | D | MP | D |
| პოლიტიკური სოციოლოგია | | | D | D | | D | | |
| პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები | D | M | | D | | | | D |
| მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება | | | | | M | | M | |
| სასწავლო პროექტის დიზაინი | | | | | M | | M | |
| დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში | M | M | M | M | MP | M | MP | M |

დანართი №1

# პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე

# (CURRICULUM VITAE)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახელი, გვარი: | რატი შუბლაძე | | | | |
| თანამდებობა: | სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი | | | | |
| სამუშაო ადგილი: | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | | | | |
| საკონტაქტო ინფორმაცია | ტელეფონი: | მობ: (995) 555 46 46 33 | ელ-ფოსტა: | r.shubladze@gipa.ge | |
| დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები | დისერტაციის თემა: ***სოციალური თანასწორობა და საარჩევნო პრეფერენციები***. სამეცნიერო კვლევის სფეროები: არჩევნები, პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია, სოციალური მოძრაობები, რევოლუციები, ევროპეიზაცია, ახალგაზრდული კვლევები, ახალგაზრდები და ისტორია. ხელმისაწვდომი საცხოვრებელი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა: თბილისში რეგიონებიდან ჩარიცხული სტუდენტების კვლევა, Youth study Generation Of Independent Georgia: In Between Hopes and unicertainties. | | | | |
| პუბლიკაციები | | | | | |

| პუბლიკაციის სათაური | პუბლიკაციის სახე | გამომცემლობა | გამოცემის წელი | რა ენაზეა შესრულებული | მოცულობა |
|---|---|---|---|---|---|
| Attempts of simultaneous preservation and modernization of traditional Georgian culture: Observation of martial arts and folk-dance groups in Tbilisi | თავი აკადემიურ წიგნში (*The Challenge of Cultural Heritage and Identity for Inclusive and Open Societies: Young People's Perspectives from European and Asian Countries)* | Peter Lang | 2022 | ინგლისური | 26 გვ. |
| საქართველოს ახალგაზრდები და ისტორია: გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა | კვლევის ანგარიში | Heinrich-Boell Stiftung | 2021 | ქართული | 105 გვ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| The Gap Between Support for Democracy and Liberal Values in Georgia | სტატია კადემიურ ჟურნალში | Caucasus Analytical Digest (CAD) | 2020 | ინგლისური | 5 გვ. |
| Understanding Public Opinion On The Coronavirus In Georgia | კვლევის ანგარიში | CRRC-Georgia | 2020 | ინგლისური | 52 გვ. |
| Mapping reports of cultural heritage | კვლევის ანგარიში | European Commision | 2019 | ინგლისური | 23 გვ. |
| ამომრჩეველთა პასუხი მთავრობის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემთხვევა | სტატია აკადემიურ ჟურნალში | ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2018 | ქართული | 25 გვ. |
| Why Is the Turnout of Young People So Low in Georgian Elections? | სტატია კადემიურ ჟურნალში | Caucasus Analytical Digest (CAD) | 2017 | ინგლისური | 10 გვ. |
| Balancing the three pillars of stability in Armenia and Georgia | სტატია კადემიურ ჟურნალში | Caucasus Survey | 2017 | ინგლისური | 22 გვ. |
| Evaluation of the Georgian Government's Performance Through the Lens of Public Trust | სტატია კადემიურ ჟურნალში | Caucasus Analytical Digest (CAD) | 2016 | ინგლისური | 7 გვ. |

დანართი 2

## ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

| № | სახელი და გვარი | სტატუსი | სასწავლო კურსი |
|---|---|---|---|
| 1. | ჯეფრი მორსკი | მოწვეული ლექტორი | • ინგლისური ენა |
| 2. | თინათინ ნორაკიძე | ასისტენტი | • სამოქალაქო განათლება |
| 3. | ზიზი თოხაძე-კესიდი | მოწვეული ლექტორი | • ავტორები და პერსონაჟები |
| 4. | ნინო ჩარექიშვილი | პროფესორი | • ისტორიული პიროვნებები<br>• აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია |
| 5. | მიხეილ ნიკოლეიშვილი | პროფესორი | • პრეკალკულუსი |
| 6. | ჯულიეტა გაგლოშვილი | პროფესორი | • კომპიუტერული უნარები |
| 7. | მაია ბარქაია | ასოცირებული პროფესორი | • შესავალი ფემინისტურ თეორიასა და კვლევებში<br>• სოციალური უთანასწორობის პერსპექტივა<br>• პოსტკოლონიური და დეკოლონიური მიდგომები |
| 8. | თეონა მატარაძე | მოწვეული ლექტორი | • შესავალი სოციოლოგიაში<br>• თვისებრივი კვლევის მეთოდები<br>• თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი |
| 9. | ქეთევან მუხიგული | ასოცირებული პროფესორი | • შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში<br>• პოლიტიკური სოციოლოგია |
| 10. | სალომე დუმბაძე | ასისტენტი | • აკადემიური წერა |
| 11. | რომან ხარზედია | ასოცირებული პროფესორი | • ეკონომიკის შესავალი |
| 12. | თორნიკე ჩივაძე | მოწვეული ლექტორი | • ეკონომიკის სოციოლოგია<br>• შრომის და ორგანიზაციის სოციოლოგია |
| 13. | ნარგიზა არჯევანიძე | მოწვეული ლექტორი | • გენდერის სოციოლოგია |
| 14. | თენგიზ ვერულავა | მოწვეული ლექტორი | • ჯანდაცვის სოციოლოგია |
| 15. | თათია ქართლელიშვილი | ასისტენტი | • სასწავლო პროექტის დიზაინი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 16. | რატი შუბლაძე | პროფესორი | ● მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება<br>● რაოდენობრივი კვლევის მეთოდები |
| 17. | ანა ჩუთლაშვილი | ასისტენტი | ● ფსიქოლოგიის საფუძვლები<br>● ფსიქოსოციალური აშლილობის პრევენცია |
| 18. | თამარ ჩარკვიანი | ასოცირებული პროფესორი | ● კულტურის სოციოლოგია<br>● მერიტოკრატიული პერსპექტივა და სოციალური ინსტიტუტები |
| 19. | მახარე აჭაიძე | ასისტენტი | ● რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით<br>● რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი |
| 20. | ზაქარია თავბერიძე | ასისტენტი | ● განათლების სოციოლოგია<br>● კლასიკური სოციოლოგიური თეორიები<br>● თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები |
| 21. | თინათინ ქავთარაძე | მოწვეული ლექტორი | ● ნაციონალიზმის თეორიები |
| 22. | ანა პაპიაშვილი | მოწვეული ლექტორი | ● ურბანული გარემო და საზოგადოება<br>● პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები<br>● მოდერნული სოციოლოგიური თეორიები |
| 23. | გიორგი იმერლიშვილი | ასისტენტ პროფესორი | ● ბრენდინგი |
| 24. | მარიამ დავითაშვილი | მოწვეული ლექტორი | ● ძალადობა |
| 25. | ლევან ბერძენიშვილი | მოწვეული ლექტორი | ● რიტორიკა და კამათის ხელოვნება |
| 26. | თორნიკე შარაშენიძე | პროფესორი | ● კინო და პოლიტიკა |
| 27. | ირაკლი გიორბელიძე | მოწვეული ლექტორი | ● ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში |
| 28. | მარინა კვიცარიძე | მოწვეული ლექტორი | ● პრობლემების გადაწვეტა: ფორუმ თეატრი |
| 29. | ნათია კუტივაძე | პროფესორი | ● საჯარო სექტორის ეკონომიკა |
| 30. | მარიამ მურვანიძე | მოწვეული ლექტორი | ● მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნება |

| | | | |
|---|---|---|---|
| 31. | თენგიზ ფხალაძე | პროფესორი | • გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია |
| 32. | ლევან სიხარულძე | მოწვეული ლექტორი | • პროპაგანდა მედია და ომი |
| 33. | თეა გველესიანი | ასოცირებული პროფესორი | • რეკლამის ფსიქოლოგია |
| 34. | დავით ზურაბიშვილი | მოწვეული ლექტორი | • პოლიტიკა და მითოლოგია<br>• ლიტერატურა და პოლიტიკა |
| 35. | თამარ ჭუბაბრია | მოწვეული ლექტორი | • სოციალური პოლიტიკა |